პოსტსაბჭოთა ქვეყნები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგდროინდელ პერიოდში (2012 წლის შედარება 1990 წელთან)

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ორ ათეულზე მეტი წელია გასული, თუმცა, ინტერესი მისი ეკონომიკური და სოციალური პორტრეტისადმი არ კლებულობს, იწერება მრავალი პოლიტოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა სახის ნაშრომი მსოფლიოს ერთი მეექვსედზე არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის თაობაზე, ამ წარმონაქმნში შემავალი რესპუბლიკებისა და ხალხების მდგომარეობასა და განვითარებაზე. მეტიც, ბოლო წლებში გაიზარდა ამ ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის და სავაჭრო ბრუნვის მასშტაბები, მათ შორის რუსეთის მიერ ერთიანი საბაჟო კავშირისაკენ გადადგმული ნაბიჯების გამო.[1]

თანამედროვე გადასახედიდან საინტერესოა ის **ეკონომიკური სარგებლობა**, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობამოპოვებულმა ქვეყნებმა მიიღეს, მიუხედავად იმ ეთნიკური დაპირისპირების, ეკონომიკური ვარდნისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკებისა, რასაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ქვეყნებში.

ერთ დროს თხუთმეტივე ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკა „საბჭოთა შინელიდან" გამოვიდა და თავიდან მათ განვითარებაში ზოგადი კანონზომიერებანი შეინიშნებოდა - *წარმოების ვარდნა, უმუშევრობის ზრდა, მიგრაცია, სოციალური დიფერენციაციის* გაღრმავება და ა.შ., **დღეისათვის ამ ქვეყნების ფაქტობრივი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია იმ სასტარტო მდგომარეობასთან შედარებით, რაც მათ საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის ჰქონდათ.** ეს განსხვავება გამოიხატება როგორც განსხვავებული დემოგრაფიული (კერძოდ, მოსახლეობის რიცხოვნობის) ცვლილებებით[2], ისე მსოფლიო ეკონომიკაში თითოეული ამ ქვეყნის შეცვლილი წვლილისა და ურთიერთსამეურნეო კავშირების რადიკალურად განსხვავებული ინტენსივობისა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლიდან განვლილ პერიოდში განვითარების დრამატული მომენტებისა, ამჟამად **პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ჯამური ეკონომიკური პოტენციალი უკვე საგრძნობლად აღემატება 1990 წლის საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ პოტენციალს. გადააჭარბა მოსახლეობის პოსტსაბჭოთა სივრცის ჯამურმა მაჩვენებელმა (თუმცა რამდენადმე უფრო მოკრძალებულად) საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1990 წლის დროინდელ რიცხოვნობასაც.**

მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში მსოფლიოც ვითარდებოდა და „იზრდებოდა",[3] ამჟამად როგორც დემოგრაფიული, ისე ეკონომიკის მხრივ პოსტსაბჭოთა სივრცის მსოფლიო წონა გაცილებით მოკრძალებულია საბჭოთა კავშირის პერიოდის დროინდელთან შედარებით. - **მსოფლიო მოსახლეობაში (პოსტ)საბჭოთა სივრცის წილი დაეცა 1990 წლის 5.46 პროცე-**

---

[1] ზოგიერთი ავტორი ამ მხრივ ისე შორს მიდის, წერს, რომ ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ და ნაწილობრივ, სოციალურ-ეკონომიკურ რეაბილიტაციას სოციალურ-პოლიტიკური რეაბილიტაციის გარეშე. - იხ.: СССР: Жизнь после смерти. М.: Изд. дом Высшей школы экономики, 2012. с. 292.

[2] აქ აქცენტი გაკეთებულია საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების მხოლოდ მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობის განსხვავებულ ცვლილებაზე. არანაკლებ სერიოზულად განსხვავებული იყო ამ ქვეყნებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და საშუალო ასაკის ცვლილების მასშტაბები.

[3] - განვლილ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკა გაიზარდა 1.6-ჯერ და მეტად, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკა - მხოლოდ 1.1-ჯერ. კიდევ უფრო მოკრძალებული იყო პოსტსაბჭოთა სივრცის დემოგრაფიული მიღწევები. - მისი მოსახლეობა განვლილ პერიოდში მხოლოდ 0.2 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს მოსახლეობა - თითქმის 1/3-ით.

ნტიდან 2012 წლის 4.14 პროცენტამდე. მსოფლიოს მთლიან პროდუქტში კი, შესაბამისად, 6.66 პროცენტიდან 4.44 პროცენტამდე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განვლილ პერიოდში მოსახლეობის მხოლოდ ნახევარი მილიონით (0.2%) მატების პირობებში მოსახლეობის ზრდა დაფიქსირდა 6 ქვეყანაში - ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ყაზახეთსა და სომხეთში, სადაც მოსახლეობა გაიზარდა 17.2 მლნ. კაცით, ანუ 39.2 პროცენტით; დანარჩენ 9 პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მოსახლეობა შემცირდა 16.7 მლნ. კაცით (6.8%-ით). ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობა თურქმენეთში გაიზარდა 55 პროცენტით, ლატვიაში კი შემცირდა 24 პროცენტით. მოსახლეობის შემცირების მასშტაბებით საქართველოზე (-17.6%) უარესი მდგომარეობა 15 ქვეყნიდან მხოლოდ მოლდოვას, ლიტვასა და ლატვიას ჰქონდათ[4].

განსაკუთრებით საგანგაშოა მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდისა და დაბერების ტენდენცია.

მოსახლეობის საშუალო (მედიანური) ასაკი გაიზარდა აბსოლუტურად ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ამასთან შესაბამისი ვარიაციის მაჩვენებელი - სხვაობა მედიანური ასაკის მხრივ ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლების მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის გაიზარდა 2.5 წლით. ამჟამად ლატვიაში მოსახლეობის მედიანური ასაკი 40 წელია, ტაჯიკეთში კი თითქმის 2-ჯერ ნაკლები - მხოლოდ 20.7 წელი.

საქართველოში 1990 წელს მოსახლეობის მედიანური ასაკი ემთხვეოდა მაშინდელ მოკავშირე რესპუბლიკების საშუალო დონეს (31.2 წელი), 2010-იანი წლების დასაწყისში კი მან უკვე 2.5 წლით გადაუსწრო პოსტსაბჭოთა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს (შესაბამისად, 37,6 წელი და 35.1 წელი). საქართველო, მიუხედავად იმია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა მოსახლეობის მედიანური ასაკით, ამ უკანასკნელის აბსოლუტური მნიშვნელობით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩამოყალიბებული ტენდენციით პირველ ადგილზე აღმოჩნდა. - მისი მედიანური ასაკი გაიზარდა 6.4 წლით, მაშინ როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცეში აღნიშნულმა მაჩვენებელმა მხოლოდ 3.9 წელი შეადგინა. ამ „პირველობის" ძირითადი მიზეზებია ყველაზე შრომისუნარიან (და ფერტილურ) ასაკში მყოფი მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია საზღვარგარეთ და ე.წ. *„დემოგრაფიული დაბერება ქვემოდან".*[5] საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი ამჟამად უფრო მეტად აღემატება ანალოგიურ საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (დაახლოებით 1.3-ჯერ), ვიდრე ეს იყო 1990-იანი წლების დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის საშუალო მსოფლიო მედიანური ასაკიც მნიშვნელოვნად გაიზარდა - დაახლოებით 4.7 წლით.

განვლილ პერიოდში **პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ჯამური მთლიანი შიგა პროდუქტი გაიზარდა მხოლოდ 9 პროცენტით, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს მიხედვით ზრდამ 63 პროცენტი შეადგინა.** პოსტსაბჭოთა 15 ქვეყნიდან დოლარულ განზომილებაში გაანგარიშებული მთლიანი შიგა პროდუქტი გაიზარდა 2012 წლისთვის 1990 წელთან შედარებით 8 ქვეყანაში, 7-ში კი (მათ შორის საქართველოში) იგი შემცირდა. **საქართველო ეკონომიკური (მშპ-ის) ზრდის მიხედვით 15 ქვეყანას შორის მხოლოდ 13-ე ადგილზეა** - 2012 წელს მისი მშპ 1990 წლის დონის მხოლოდ 57.4%-ია, უსწრებს რა ამ ინდიკატორით მხოლოდ მოლდოვას (38.7%) და ყირგიზეთს (53.3%)[6].

იმის გამო, რომ განვლილ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის მკვეთრ შემცირებას ჰქონდა ადგილი, **მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის მიხედვით, ისევე როგორც ფაქტობრივი მოცულობით, საქართველო პოსტსაბჭოთა 15 ქვეყანას შორის მე-10 ადგილზეა** (უსწრებს სომხეთს, უზბეკეთს, მოლდო-

[4] ტიტულოვანი ერის ძირითადი კონფესიული ნიშნით მუსლიმანურად მიჩნეული ქვეყნების მოსახლეობის წილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მთლიან მოსახლეობაში გაიზარდა 1990 წლის 18.1 პროცენტიდან 2012 წლის 25.8 პროცენტამდე.

[5] 20-50-წლიანი მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებელი დაახლოებით ორჯერ აღემატება იმავე ასაკის მოსახლეობის წილს მთელ მოსახლეობაში. „მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება ქვემოდან" ნიშნავს მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდას შობადობის შემცირებისა და მოსახლეობაში ბავშვების წილის შემცირების გამო.

[6] აღნიშნულ სტატიაში შედარებები განხორციელებულია შესადარ ფასებში აშშ დოლარებში. აღნიშნული მაჩვენებლები რამდენადმე განსხვავდებიან ეკონომიკური ზრდის იმ მაჩვენებლებისაგან, რომლებიც მიიღებიან ეროვნულ ვალუტაში უცვლელ ფასებში ჯაჭვური ინდექსით გაანგარიშებული ზრდის მაჩვენებლებისაგან. განსხვავება ძირითადად გამოწვეულია ვალუტის ოფიციალური კურსისა და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით დადგენილი კურსის ცვლილებით.

ვას, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს).

ეკონომიკური განვითარების მხრივ სსრკ-ში შემავალი 15 ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკიდან **დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველაზე სწრაფი ზრდა ჰქონდა ლიტვას - მისი მშპ 2012 წლისთვის 1990 წელთან შედარებით 1.9-ჯერ გაიზარდა. ეკონომიკური განვითარების დონის მხრივ კი პირველობა შეინარჩუნა ესტონეთმა.** - მისი ზრდა საბჭოთა პერიოდის დონესთან შედარებით 82.9 პროცენტია, რაც პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მაჩვენებელს (8.8%) 9.4-ჯერ აღემატება. ეს ყველაზე მცირე (რიცხოვნობით და ტრადიციული საბჭოური კლასიფიკაციით სსრკ-ის თხუთმეტ რესპუბლიკას შორის ბოლო, 15-ე ადგილზე მყოფი) ესტონეთი დღეისათვის უკვე არის *ეკონომიკური თანამშრომლობისა* და *განვითარების ორგანიზაციის* წევრი ქვეყანა (2010 წლიდან). არის იგი ევროკავშირისა და ევროზონის წევრი ქვეყანაც. ამ ქვეყანაში წარმოებული მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით საშუალოდ 1.7-ჯერ აღემატება პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო და 3.7-ჯერ - საქართველოს მაჩვენებელს (1990 წელს ესტონეთის მაჩვენებელი საშუალო საკავშირო დონისას მხოლოდ 26.3 პროცენტით, ხოლო საქართველოსას - 1.6-ჯერ აღემატებოდა..). განვლილ პერიოდში განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ვექტორები, და, შესაბამისად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური უთანაბრობაც, მნიშვნელოვნად გაიზარდა. - **თუ 1990 წელს ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილი მოკავშირე რესპუბლიკის - ტაჯიკეთის თანაფარდობა ყველაზე განვითარებულ ესტონეთთან მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტით შეადგენდა 28.8 პროცენტს, 2012 წელს მან მხოლოდ 10.3 პროცენტი შეადგინა**[7]. იმავე პერიოდში პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიხედვით ეკონომიკური განვითარების დონეთა საშუალო კვადრატული გადახრა გაიზარდა 33.0 პროცენტიდან 55.7 პროცენტამდე, ხოლო საშუალო არითმეტიკული გადახრა - 28.4 პროცენტიდან 50.7 პროცენტამდე, რაზეც წარმოდგენას ქვემორე გრაფიკი იძლევა.

გრაფიკი 1



[7] ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით. - ვალუტის ოფიციალური კურსით თანაფარდობა კიდევ უფრო ნაკლები იყო - მხოლოდ 5.8 პროცენტი.

ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ და ჩამორჩენილ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სხვაობა გაიზარდა 1990 წლის 3.5-ჯერადიდან 2012 წლის 17.2-ჯერადამდე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით განსხვავება შეადგენდა, შესაბამისად, 3.1-ჯერადს და 9.8-ჯერადს). ქვეყნებს შორის განვითარების არათანაბარი დინამიზმის გამო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კლასიფიკაციით, 2012 წლისათვის ბალტიის 3 ქვეყანა (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია) მიეკუთვნებოდნენ *ადამიანის განვითარების ძალიან მაღალი დონის ქვეყნებს,* 7 ქვეყანა (ბელორუსი, რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი, საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი) - *ადამიანის განვითარების მაღალი დონის ქვეყნებს,* ხოლო კიდევ 5 ქვეყანა (თურქმენეთი, მოლდოვა, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი) - *ადამიანისეული განვითარების საშუალო დონის ქვეყნებს.*

ქვემოთ მოტანილი გრაფიკი აჩვენებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ადგილს მსოფლიო ქვეყნების რეიტინგ-ლისტში ადამიანისეული განვითარების ინდექსითა (**HDI**) და მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ეროვნული შემოსავლით.

გრაფიკი 2



თხუთმეტი პოსტსაბჭოთა ქვეყნის საშუალო სიმბოლური ადგილი HDI-ით მსოფლიოში დაეცა 1990 წლის 54-დან (173 ქვეყნიდან) 79-ე ადგილამდე (186 ქვეყნიდან), ეკონომიკური განვითარების დონით კი, შესაბამისად - 61-დან 93-ე ადგილამდე. გამოდის, რომ აღნიშნულ პერიოდში სხვაობა ადგილებს შორის HDI-ით და ეკონომიკური განვითარების დონით გაიზარდა 1990 წლის 7-დან 2012 წლისთვის 14-მდე. ამ მხრივ **ნეგატიური რეკორდი საქართველოს უკავია** - 2012 წლისთვის ზემოხსენებული ორი ინდიკატორის მიხედვით სხვაობამ 37 შეადგინა, ანუ პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მაჩვენებელზე 2.6-ჯერ მეტი. - განვლილ პერიოდში საქართველოს რეიტინგი HDI-ით 23 საფეხურით (49-დან 72-მდე), ხოლო ეკონომიკური

განვითარების მხრივ - 59 საფეხურით (50-დან 109-მდე) დაეცა.[8] უკუსვლის მასშტაბები საქართველოში HDI-ით ფაქტობრივად შეესაბამებოდა, ხოლო ეკონომიკური განვითარების რეიტინგით - 1.8-ჯერ აღემატებოდა პოსტსაბჭოთა სივრცის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებს.

განვლილი ორი ათწლეულის განმავლობაში პოსტსაბჭოთა ქვეყნების წილი მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა. 2012 წელს მან მხოლოდ 4.45 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 1990 წლის 6.66 პროცენტისა.[9] იმავე პერიოდში პოსტსაბჭოთა სივრცის მთლიანი მოსახლეობა გაიზარდა, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ 0.2 პროცენტით. აღნიშნული ვარდნა განსაკუთრებით თვალშისაცემია ჩინეთის ეკონომიკის დინამიკური ზრდის ფონზე. - **ჩინეთის ეკონომიკა, რომელიც ჯერ კიდევ 1990 წელს შეადგენდა საბჭოთა კავშირის დონის 3/5-ზე ნაკლებს, 2012 წლისთვის უკვე აღემატებოდა პოსტსაბჭოთა სივრცის ერთობლივ მაჩვენებელს 3.4-ჯერ.**

გრაფიკი 3



2012 წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნების (ბალტიის ქვეყნების ჩათვლით), წილი მსოფლიო ეკონომიკაში შეადგენდა იმის 2/3-ს, რამდენიც ეკავა საბჭოთა კავშირს მსოფლიო ეკონომიკაში 1990 წელს. საქართველოს წილმა 2012 წელს 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 35.2 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო მდგომარეობა ჰქონდა ლიტვას (116.9%), ყველაზე უარესი კი - მოლდოვას (23.7%). ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებიდან მხოლოდ ყირგიზეთსა და მოლდოვას აღმოაჩნდა საქართველოზე უარესი მაჩვენებლები.

[8] დიდი ხნის განმავლობაში აღნიშნულ რეიტინგებში მნიშვნელოვანი განსხვავება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ვერ შენარჩუნდება. ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკის მაღალი დონე დადებით კორელაციაშია HDI-ის ზრდასთან. მათ ვექტორებს ურთიერთდაახლოების ტენდენცია ახასიათებთ.

[9] აღნიშნული ცვლილება განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებით. მაგალითად, 1990 წლიდან 2012 წლისთვის აშშ-ის წილი მსოფლიო ეკონომიკაში შემცირდა 24.7 პროცენტიდან 18.9 პროცენტამდე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნებისა - 69.3 პროცენტიდან 50.1 პროცენტამდე, მაშინ როდესაც ჩინეთის ეკონომიკის წილი გაიზარდა 3.9 პროცენტიდან 14.9 პროცენტამდე.

გრაფიკი 4



საქართველოს განვითარების ვექტორი 1991-2012 წლებში რომ პოსტსაბჭოთა სივრცის საერთო (საშუალო) ტენდენციის შესაბამისი ჰქონოდა, ქვეყნის მშპ ფაქტობრივზე დაახლოებით 2.1-ჯერ უფრო მაღალი იქნებოდა.

2012 წლისთვის 1990 წელთან შედარებით ეკონომიკური ზრდის შედეგიანობით პოსტსაბჭოთა 15 ქვეყანა შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

1. ქვეყნები, რომელთა წილი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაიზარდა როგორც მსოფლიო ეკონომიკაში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცის მთლიან შიგა პროდუქტში (ლიტვა, აზერბაიჯანი და თურქმენეთი). ამ ქვეყნების ჯამური წილი გაიზარდა მსოფლიოში 0.23 პროცენტიდან 0.26 პროცენტამდე, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი - 3.38%-დან 5.70%-მდე;

2. ქვეყნები, რომელთა წილი შემცირდა მსოფლიო ეკონომიკაში, მაგრამ გაიზარდა პოსტსაბჭოთა სივრცის ჯამურ მთლიან შიგა პროდუქტში (ესტონეთი, ლატვია, რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი, ბელორუსი). - ამ ქვეყნების წილი, მართალია, შემცირდა მსოფლიო ეკონომიკაში 1990 წლის 4.7 პროცენტიდან 2012 წლის 3.5 პროცენტამდე, მაგრამ გაიზარდა პოსტსაბჭოთა სივრცეში - 73.2 პროცენტიდან 80.0 პროცენტამდე.

3. დანარჩენი ქვეყნები, რომელთა წილი შემცირდა როგორც მსოფლიო, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში (საქართველო, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი). - ამ ქვეყნების წილი შემცირდა მსოფლიო ეკონომიკაში 1990 წლის 1.68%-დან 2012 წლის 0.64%-მდე, პოსტსაბჭოთა სივრცის მშპ-ში კი - 23.4%-დან 14.3%-მდე.

ამ მხრივ განსაკუთრებით კონტრასტულია ორი მეზობელი ქვეყნის - რუსეთის და უკრაინის შედარება. - დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუსეთის ფედერაციის წილი პოსტსაბჭოთა სივრცეში 2012 წლისათვის გაიზარდა 68 პროცენტამდე, 1990 წლის 64.2 პროცენტის ნაცვლად. ამის საპირისპიროდ, იმავე პერიოდში უკრაინის წილი შემცირდა 15.3 პროცენტიდან 9.1 პროცენ-

ტამდე. თუ 1990 წელს ეკონომიკური განვითარების დონით (მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ) უკრაინა/რუსეთის თანაფარდობა შეადგენდა 68.2 პროცენტს, 2012 წლისთვის აღნიშნული თანაფარდობა დაეცა 41.6%-მდე.

როგორი სასტარტო პირობები ჰქონდა საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წინ, 1990 წლისთვის?

ამ წელს საქართველოში იწარმოებოდა 24.9 მლრდ. აშშ დოლარის მთლიანი შიგა პროდუქტი (მოსახლეობის ერთ სულზე[10] - 4572 აშშ დოლარის). მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი შეადგენდა საბჭოთა კავშირის საშუალო (- საშუალო-საკავშირო) დონის 79.1 პროცენტს, შესაბამისად, წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტის - 71.9 პროცენტს და ფულადი შემოსავლების 98 პროცენტს. **2012 წლისათვის საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ შეადგენს პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მაჩვენებლის 37.2 პროცენტს - მიმდინარე ფასებით და 46.4 პროცენტს - მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით. თუ 1990 წელს მოსახლეობის ფულადი შემოსავლები და ეროვნული შემოსავალის სიდიდეები თითქმის იდენტური იყო, 2012 წლისთვის ფულადი შემოსავლები შეადგენენ მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 2/5-ს (39.9%).** დაახლოებით ამავე დონეზეა საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლები თავისი მსყიდველობითუნარიანობით 1988-1990 წლების საშუალო დონესთან შედარებით.

კიდევ უფრო რელიეფურია საქართველოს ეკონომიკისა და მოსახლეობის ერთ სულზე ფულადი შემოსავლების თანაფარდობების შედარება 2012 წელს 1990 წელთან შედარებით. -

გრაფიკი 5



[10] 1990 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა 5460 ათასი კაცი შეადგინა. 2012 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა მხოლოდ 4490 ათასი კაცი იყო, ანუ 1990 წლის დონის მხოლოდ 82.2 პროცენტი.

ამჟამინდელი მშპ 22 წლის წინანდელზე დაახლოებით 1.4-ჯერ, ხოლო ფულადი შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე - 2.7-ჯერ უფრო „მჭლეა".

ამასთან გამოდის, რომ ფულადი შემოსავლების თანაფარდობა ეროვნულ შემოსავალთან შედარებით საშუალო მაშინდელი მანეთისა და ქართული ლარის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით[11] ამჟამინდელი ფასებით ეს დაახლოებით 6536 ლარის ეკვივალენტურია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **2012 წელს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტი 1990 წლის ანალოგიური მაჩვენებლის დაახლოებით 89 პროცენტი იყო.**

საშუალო თვიურმა ხელფასმა პოსტსაბჭოთა სივრცეში 2012 წლის ბოლოსათვის, ჩვენი გაანგარიშებით, შეადგინა 648,3 აშშ დოლარი, რაც მიმდინარე ფასებში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის დაახლოებით 82 პროცენტია. საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (167%), რაც გამოწვეულია ბოლო წლებში დაქირავებით დასაქმებულთა აბსოლუტური რაოდენობის ფაქტობრივი უცვლელობის პირობებში საშუალო ხელფასების მნიშვნელოვანი (2003 წელთან შედარებით 2012 წლის ბოლოსათვის - თითქმის 6.5-ჯერ) ზრდით. აღნიშნული მაჩვენებელი რუსეთის ფედერაციაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის მხოლოდ 2/3-ია. ამასთან, თურქმენეთში იგი მხოლოდ 42 პროცენტია (ძირითადად დაბალი ხელფასებისა და დაბალი ფასების, სახელმწიფოს მიერ მოხმარებული დოვლათის ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილის ცენტრალიზებულად დაფარვის გამო), მის მეზობელ უზბეკეთში კი - 269 პროცენტი (ქვეყანაში მაღალი შობადობისა და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობისა და უმუშევართა დიდი წილის გამო).

ბალტიის სამივე ქვეყანაში ზემოხსენებული ინდიკატორის მნიშვნელობა (93-95%) დაახლოებით შეესაბამება საშუალო ევროპულ (ესპანეთი, იტალია) დონეს.

გრაფიკი 6



[11] აღნიშნულის შესახებ იხილეთ: იოსებ არჩვაძე, ირაკლი არჩვაძე. **მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ქართულ ლარსა და საბჭოთა მანეთს შორის** (ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი). თბილისი, „მერიდიანი", 2010.

პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ყირგიზეთს, ტაჯიკეთსა და უზბეკეთს 3-3-ჯერ, საქართველოს - 2-ჯერ, უკრაინას - 1.7-ჯერ, ხოლო სომხეთს - 1.5-ჯერ მაღალი მაჩვენებელი აქვთ საშუალო ხელფასის თანაფარდობით მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებულ მშპ-ის მაჩვენებელთან. ყოველივე ეს ამ ქვეყნებში კეთილდღეობის უზრუნველყოფაში დასაქმების მაღალი მნიშვნელობის მგრძნობიარე ინდიკატორია.

ამასთან, **ხელფასების ფაქტობრივი მსყიდველობითუნარიანობით ჯერჯერობით ლიტვის გარდა არც ერთ სახელმწიფოს პოსტსაბჭოთა სივრცეში არ მიუღწევია იმ პიკური მნიშვნელობისათვის, რაც მათ საბჭოთა პერიოდში ჰქონდათ. – საშუალო ნომინალური (დარიცხული) ხელფასი ამჟამად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 1990 წლის ხელფასის მსყიდველობითუნარიანობის დაახლოებით 56 პროცენტია. საქართველოში 2012 წლის საშუალო ხელფასი 1990 წლის დონის დაახლოებით 2/3-ია,** რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საუკეთესოა. რუსეთის ფედერაციაში იგი 62.3 პროცენტი, ლატვიასა და ესტონეთში ხელფასის მსყიდველობითი დონე 1990 წლის დონის დაახლოებით 9/10, ხოლო თურქმენეთში - 1/4-ზე ნაკლებია.

გაიზარდა განსხვავება საშუალო ხელფასის სიდიდის მიხედვითაც. 1990 წელს ხელფასი საშუალო საკავშირო დონესთან მერყეობდა 124.1 პროცენტსა (ესტონეთი) და 70.9 პროცენტს შორის (აზერბაიჯანი), 2012 წლისთვის განსხვავება კოლოსალურად გაიზარდა. ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებლის - *ესტონეთის საშუალო ხელფასის თანაფარდობამ პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მაჩვენებელთან შეადგინა 198 პროცენტი, ხოლო ამ თანაფარდობით ყველაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი ტაჯიკეთის მაჩვენებელმა - მხოლოდ 31.2 პროცენტი.*

თუ საშუალოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში ამჟამინდელი (2012 წლის ბოლოს დროინდელი) საშუალო ხელფასი პირველად მიღწეულ იქნა 1970 წელს, საქართველოსათვის ეს მაჩვენებელი შეესაბამება 1961 წლის დონეს, ესტონეთისათვის 1987 წლის, ხოლო ტაჯიკეთისათვის ომამდელ - 1940(!) წლის დონეს. ზოგადად, 15 ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკიდან 3 ბალტიის ქვეყანაში (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) ამჟამინდელი საშუალო ხელფასი გორბაჩოვისდროინდელის, 3-ში (რუსეთის ფედერაცია, ბელორუსი, ყაზახეთი) - ბრეჟნევის დროინდელის, 4-ში (უკრაინა, უზბეკეთი, საქართველო, აზერბაიჯანი) - ხრუშჩოვის დროინდელის, ხოლო 5 სახელმწიფოში (სომხეთი, მოლდოვა, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი) - სტალინის დროინდელის ეკვივალენტურია. ამ მხრივ „რეკორდი" ეკუთვნის ტაჯიკეთს, სადაც 2012 წლის საშუალო ხელფასი 72 წლის წინანდელის ეკვივალენტურია.

გრაფიკი 7



საქართველოს წილი პოსტსაბჭოთა სივრცეში მკვეთრად დაეცა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში. შემდგომში ეს მაჩვენებელი სტაბილურ ზრდას აჩვენებს, თუმცა მან მხოლოდ იმის ნახევარი დონე გადალახა, რაც მას 1990 წელს ეკავა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს წილი სამხრეთ კავკასიაში საგრძნობლად შემცირდა - ფაქტობრივად განახევრდა და დღეს არ **აღემატება სამხრეთ კავკასიის მთლიანი შიგა პროდუქტის 18,6 პროცენტს (1990 წელს თითქმის 36.7 პროცენტი იყო) და მსოფლიო ეკონომიკის 0.03 პროცენტს (1990 წელს - 0.10 პროცენტი)**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს წილი მსოფლიოს ეკონომიკაში დაეცა 1990 წლის 1/1100-დან 2012 წლისთვის 1/3125-მდე.

ჩვენთან და მთლიანად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შედარებით მდგომარეობა ნაკლებად დრამატული აღმოჩნდა ბალტიის ქვეყნებისათვის. - დღეს ამ ქვეყნებში ჯამურად იწარმოება პოსტსაბჭოთა სივრცის მშპ-ის 3.56%, ნაცვლად 1990 წლის 3.13%-სა (ცნობისათვის: ბალტიის ქვეყნებზე მოდის პოსტსაბჭოთა სივრცის მოსახლეობის მხოლოდ 2.77%).

გრაფიკი 8



ეკონომიკური მდგომარეობა უშუალოდ აისახება სახელმწიფოს ფინანსურ შესაძლებლობებსა და საბიუჯეტო ხარჯების მოცულობაზე. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ არა მარტო, პ.სამუელსონის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, მეტი „ზარბაზანის", არამედ მეტი „კარაქის" წარმოებასაც. ამასთან, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, რაც უფრო მეტია მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ, როგორც წესი, მშპ-ის მით უფრო მაღალი წილი გადანაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით. მაგალითად, პოსტსაბჭოთა სივრცეში საბიუჯეტო ხარჯების თანაფარდობა მშპ-სთან 36.6%-ია, EU27-ში - 46.8%. ბალტიის ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური განვითარების დონე პოსტსაბჭოთა სივრცის მაჩვენებელზე დაახლოებით 1.7-ჯერ უფრო მაღალია, ბიუჯეტის მიხედვით მშპ-ის გადანაწილების დონეც ასევე საგრძნობლად მაღალია (შედარება საბიუჯეტო ხარჯების მიხედვით, % მშპ-სთან: ესტონეთი - 45.1%, პოსტსაბჭოთა სივრცე - 36.6%, საქართველო - 29.3%). შესაბამისად, **პოსტსაბჭოთა სივრცეში**

„მოწინავე" ქვეყნები „ჩამორჩენილებს" საბიუჯეტო ხარჯების სიდიდით უფრო მეტად უსწრებენ, ვიდრე ეკონომიკურად (მაგალითად, ესტონეთი ტაჯიკეთს ეკონომიკურად უსწრებს 9.8-ჯერ, ხოლო საბიუჯეტო ხარჯების მოცულობით მოსახლეობის ერთ სულზე - 17.9-ჯერ).

აღნიშნული კანონზომიერება კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ გრაფიკზე.

გრაფიკი 9



აღნიშნული განსხვავება ვლინდება ხარჯების კონკრეტული სახეობების აბსოლუტურ და შეფარდებით პარამეტრებში. კერძოდ, იკვეთება უაღრესად საინტერესო სურათი და კანონზომიერება: **პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალოზე მაღალი ეკონომიკური პოტენციალის მქონე ქვეყნებს განათლებასა და ჯანდაცვაზე ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე არა მარტო უფრო მეტი, არამედ შესაბამისი საბიუჯეტო ხარჯების თანაფარდობაც მშპ-სთან ასევე საშუალო პოსტსაბჭოთა სივრცესთან შედარებით უფრო მაღალი აქვთ.**[12] აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ზრდის ხსენებული ინდიკატორებით აბსოლუტური ხარჯების უთანაბრობას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დონით დაახლოებით 1.5-1.6-ჯერ აღემატებიან საშუალო პოსტსაბჭოთა დონეს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის წილი მშპ-ში დაახლოებით 1.4-ჯერად და მეტად უფრო მაღალია პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო დონეზე (4.7% და 3.3%), ხოლო განათლების ხარჯების წილი - დაახლოებით 1.2-ჯერ (5.7% და 4.8%). აბსოლუტურ განზომილებაში ეს სხვაობა კიდევ უფრო რელიეფურია: ესტონეთი საშუალო პოსტსაბჭოთა სივრცეს უსწრებს ეკონომიკური განვითარებით 1.7-ჯერ, მაშინ როდესაც მოსახლეობის ერთ სულზე გაწეული

[12] ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში სოციალური დანიშნულების ხარჯების მთლიანი მოცულობა 2/5-ზე ნაკლებია, მაშინ როდესაც ევროკავშირში ეს მაჩვენებელი 3/5-ზე მეტია.

აბსოლუტური ხარჯებით საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე - 2.44-ჯერ, ხოლო განათლებაზე გაღებული ხარჯებით - 2.0-ჯერ და მეტად. ანალოგიური მდგომარება შეინიშნება ბალტიის სხვა ქვეყნებშიც (ლატვია: 1.4-ჯერ, 1.8-ჯერ და 1.7-ჯერ; ლიტვა: 1.7-ჯერ, 2.7-ჯერ და 2.0-ჯერ). სამაგიეროდ, ამ ქვეყნებში გაცილებით დაბალია თავდაცვის ხარჯების წილი მშპ-ში. - ესტონეთისათვის ეს მაჩვენებელი საშუალო პოსტსაბჭოთა სივრცის მაჩვენებელს ჩამორჩება 2-ჯერ, ხოლო ლატვიასა და ლიტვაში - 3-3-ჯერ.

საქართველო საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ბოლო წლებში საშუალოდ ხარჯავს ქვეყნის მშპ-ის 2.4 პროცენტს (საშუალოდ მსოფლიოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე იხარჯება მშპ-ის 6.5%, EU27-ში - 7.3%), განათლებაზე - 3.2 პროცენტს (მსოფლიოში - 4.9%, EU27-ში -5.5%), ხოლო თავდაცვაზე - 3.9 პროცენტს (მსოფლიოში - 2.6%; EU27-ში - 2.0%)[13]. საქართველოში, რომელიც ეკონომიკური განვითარების დონით ჩამორჩება პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო დონეს, ჯანდაცვასა და განათლებაზე ხარჯების წილი (შესაბამისად, 2.4% და 3.2%) მშპ-ში პოსტსაბჭოთა სივრცის შესაბამის მაჩვენებლებს დაახლოებით 1.5-1.5-ჯერ ჩამორჩებიან, ხოლო თავდაცვის ხარჯების წილი (3.9%) პირიქით, 1.2-ჯერ აღემატება.

საქართველოში ჯანდაცვაზე ხარჯების წილის თანაფარდობა შესაბამის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელთან შეადგენს მხოლოდ 37 პროცენტს, განათლებაზე, შესაბამისად - 65 პროცენტს, თავდაცვაზე კი - 150 პროცენტს. საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო ხარჯავს 142.3 აშშ დოლარს, რაც საშუალო მსოფლიო დონის მხოლოდ 21.9 პროცენტია. განათლებაზე ანალოგიური ხარჯების რაოდენობა 189.8 დოლარია (38.0%), თავდაცვაზე კი - 231.3 დოლარი (87.3%). ეს იმ დროს, როდესაც მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის მიხედვით თანაფარდობა შეადგენს 49.1%-ს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამხედრო ხარჯების მოცულობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მისი მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე საგრძნობლად ჩამორჩება თავის ოთხივე სახმელეთო მეზობლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.[14]

ამჟამად **საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და განათლებაზე გაღებული ხარჯები პოსტსაბჭოთა სივრცის საშუალო მაჩვენებელს დაახლოებით 3-3-ჯერ, ხოლო თავდაცვაზე - 1.8-ჯერ ჩამორჩება.**

მეტ-ნაკლებად ანალოგიური სიტუაციაა ეკონომიკურად საშუალო პოსტსაბჭოთა დონესთან შედარებით ჩამორჩენილ სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

საკმაოდ დაშორდნენ პოსტსოციალისტური ქვეყნები ერთმანეთს **სამომხმარებლო ფასების საერთო დონითაც.** 1990 წელს საბჭოთა კავშირში ფასების დონე მსოფლიო დონის დაახლოებით 42 პროცენტი იყო, მაგრამ უკვე 1991 წლის ბოლოსათვის საბჭოთა ეკონომიკის კოლაფსის ფონზე სამომხმარებლო საქონლის ფასები დაეცა მსოფლიო დონის 2.5-7.0 პროცენტამდე. ამჟამად ისინი მერყეობენ 42.8%-დან ტაჯიკეთში 84.7%-მდე ყაზახეთში (საქართველო - 59.7%, ყ. სსრკ საშუალოდ - 74.4%).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნების საგარეო ეკონომიკური კავშირები მრავალვექტორიანი გახდა. საბჭოთა ეკონომიკა ძირითადად ჩაკეტილი, თვითკმარი და დიდწილად ავტარკიული იყო. **საბჭოთა რესპუბლიკების (პროდუქციის გატანის) ექსპორტის 4/5 და შემოტანის (იმპორტის) 2/3 დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებზე მოდიოდა.** 1989 წელს საქართველოდან გატანილი პროდუქციის 93 პროცენტი და შემოტანილი პროდუქციის 75 პროცენტი სსრკ-ის ფარგლებში ხორციელდებოდა.

ამჟამად პოსტსაბჭოთა ქვეყნების წილი მათ ექსპორტში თითქმის 4-ჯერ, ხოლო იმპორტში - 2.3-ჯერაა შემცირებული და შესაბამისად, 20% და 28%-ია. ექსპორტში პოსტსაბჭოთა სივრცეს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსაკუთრებით „უგანა" აზერბაიჯანმა, რომლის ექსპორტის მხოლოდ 5 პროცენტი მოდის პოსტსაბჭოთა სივრცეზე (1989 წ. – 94%). ყველაზე დაბალი წილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან იმპორტის მიხედვით რუსეთის ფედერაციას აქვს - იმპორტის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 16 პროცენტი (1989 წ. – 69%).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს, რომელიც დსთ-ის წევრი აღარაა (2008 წლის აგვისტოდან), პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ექსპორტის წილი უფრო მაღალი აქვს დსთ-ის წევრ სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებთან - აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით. იგი ამ მაჩვენებლით (54%) მესამე ადგილზე პოსტსაბჭოთა 15 სახელმწიფოს შორის და 2.7-ჯერ აჭარბებს

[13] 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით, განათლებასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან იქნება 2.6-2.6 პროცენტი თითოეული, თავდაცვაზე, შესაბამისად - 2.2 პროცენტი.

[14] თავდაცვაზე ხარჯების სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოსთან შედარებით შეადგენს: სომხეთში - 106%-ს, აზერბაიჯანში - 131 პროცენტს, რუსეთში - 299 პროცენტს, თურქეთში - 169 პროცენტს.

დსთ-ის ქვეყნების მიხედვით არსებულ საშუალო დონეს.

ამრიგად, 1990-იანი წლებიდან დღემდე პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა გაიარეს უაღრესად საინტერესო, განვითარების წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი, აბსოლუტურად განსხვავებული როლითა და სტატუსით არიან ისინი დღეისათვის წარმოდგენილი მსოფლიო მეურნეობრიობასა თუ ერთმანეთთან მიმართებაში. დროთა განმავლობაში განვითარების ცალკეული ასპექტების მიხედვით განსხვავება მათ შორის კიდევ უფრო გაიზრდება, თუმცა არაა გამორიცხული, ზოგიერთი პარამეტრისა და განვითარების ვექტორის მიხედვით მოხდეს მათ შორის მსგავსებისა და დაახლოების ტენდენციების გამოკვეთაც.

აღნიშნულის ფონზე საინტერესოდ ვითარდება საქართველოს ეკონომიკა. ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღია ეკონომიკა აქვს, მისი სავაჭრო ბრუნვის, ისევე როგორც უცხოეთიდან ფულადი გზავნილების ტრანზაქციების მოცულობის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტთან ერთ-ერთი მაღალია მსოფლიოში. ამასთან დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ამჟამინდელი საქართველო ჩამორჩება როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის, ისე დანარჩენი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებს. 1990 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს წილი შემცირდა: მსოფლიო მოსახლეობაში - 0.103%-დან 0.064%-მდე, პოსტსაბჭოთა სივრცეში - 1.89%-დან 1.56%-მდე, ხოლო სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში - 34.4%-დან 26.3%-მდე.

ამჟამად მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ საქართველოში შეადგენს მსოფლიო დონის მხოლოდ 49 პროცენტს, ნაცვლად 1988 წლის 88 პროცენტისა; პოსტსაბჭოთა სივრცისათვის ანალოგიური მაჩვენებელი შემცირდა 72 პროცენტიდან 46 პროცენტამდე.

1990-იანი წლების შუა ხანებიდან ვარდნის შეჩერებისა და ეკონომიკური აღმასვლის შედეგად თანდათან უმჯობესდება საქართველოს რეიტინგები ადამიანისეული განვითარების ინდექსითა და მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტით, თუმცა ჩვენს ქვეყანას ჯერაც ბოლომდე არა აქვს დაძლეული იმ ვარდნის შედეგები, რომლებიც მან 1990-იანი წლების დასაწყისში სხვადასხვა, ცნობილ მიზეზთა გამო განიცადა, ჯერაც არ მიუღწევია 1980-იანი წლების ბოლოს მდგომარეობით არსებულ ეკონომიკური პოტენციალისა და მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის დონისათვის.

სტატიის მომზადებისას გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა დსთ-ის სტატკომიტეტის მონაცემები.

POST SOVIET COUNTRIES IN THE PERIOD AFTER RECEIVING INDEPENDENCE

JOSEPH ARCHVADZE
Doctor of Economics, Professor

There are discussed such macroeconomic results, which after the collapse of the Soviet Union, independent countries received. There are made comparisons according to the years 1990 and 2012 on GDP per capita of the population, according to the expenses and other different indicators used on budgetary incomes, education, healthcare and defense. Data of each Post Soviet countries are compared with an average indicator of USSR in the year 1990 and in the year 2012- with an average indicator of Post Soviet Area. All Soviet countries are divided into three groups: 1.The countries, which share in the world economy was increased in 2012 in comparison with the year 1990; 2.The countries which share was decreased in the world economy, but was increased in the Post Soviet Area. 3. The countries, which share was decreased as in the world, as in the Post Soviet Area by that time. Georgia belongs to this latter group.